



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



დადგენილება:დ-37.37213351

თარიღი:01/12/2021

**დადგენილება N15**

2021 წლის 01 დეკემბერი

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ა დ გ ე ნ ს :**

**მუხლი 1.** შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N19 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 31/12/2020, 190020020.35.113.016431), კერძოდ:

- გაიზარდოს და დაზუსტდეს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **2 376 714 ლარით:**

**1.** გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) (ორგანიზაციული კოდი 11311) - **830 000 ლარით.**

**2.** გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები, ჯარიმები, სანქციები და საურავები (ორგანიზაციული კოდი 143) - **276 000 ლარით.**

**3.** საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 აგვისტოს #1528 განკარგულებით შევიდა ცვლილება „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს #1419 განკარგულებაში, რომლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო პროექტით გათვალისწინებული

სამუშაოების განსახორციელებლად (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა) - **328 819** ლარი.

**4. შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის #147 განკარგულებაში „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შეუმცირდა საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა **27768** ლარით.**

**5. გაიზარდოს გადასახდელები:**

ა) საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს #1419 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი - **02 02 01 - 61.1.1.2.**) - **328 819** ლარით;

ბ) მუნიციპალური ტრანსპორტი, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - **02 01 02 - 61.1.1.11.**) - **1000** ლარით;

გ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - **02 02 01 - 61.1.1.11.**) - **250 000** ლარით;

დ) ელექტროენერჯის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - **02 02 02 - 2.2.3.12.**) - **320 000** ლარით;

ე) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - **0203 - 61.1.1.11.**) - **250 000** ლარით;

ვ) დასუფთავება და ნარჩენების გატანა, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - **03 01 01 - 2.5**) - **40 000** ლარით;

ზ) კომუნალური მომსახურება, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - **03 01 02 - 2.5**) - **20 000** ლარით;

თ) სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა, სუბსიდია (რაგბის კავშირი, ორგანიზაციული კოდი - **05 01 02 - 2.5**) - **165 000** ლარით;

ი) სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა, სუბსიდია (სპორტის ცენტრი, ორგანიზაციული კოდი - **05 01 02 - 2.5**) - **60 000** ლარით;

**6. შემცირდეს გადასახდელები საქართველოს მთავრობის #147 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ზოგადი განათლების ხელშეწყობა, არაფინანსური აქტივების ზრდა, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი - **04 02 - 61.1.1.2.**) -**27 768** ლარით.**

**7. დაზუსტდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის #53 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის და საბიუჯეტო კოდების 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის**

შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვა, კერძოდ:

ა) ა/წლის 29 ივლისის საქართველოს მთავრობის #1297 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის #2685 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 179 663 (ასსამოცდაცხრამეტიათას ექვსას სამოცდასამი) ლარი სოფ. შრომა (ჩირე) - ურევი გრიგოლეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისთვის;

ა.ა) **გაიზარდოს შემოსავლები:** კაპიტალური ტრანსფერები (პროგრამული კოდი 1.3.3.2.1.1.2.) - 179 663 ათ.ლარით.

ა.ბ) **შესაბამისად გაიზარდოს გადასახდელები :** ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი - 02 02 01- 61.1.1.5.) - 179 663 ლარით.

ბ) ა/წლის აგვისტოს თვეში გაეროს განვითარების პროგრამის (პროექტის ნომერი და დასახელება: 0099175/00108051 რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2 (FRLD 2)) ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დაბა გომისძეთის ურბანული განვითარების გეგმისა და შესაბამისი დოკუმენტების შემუშავებისთვის გამოეყო მეორე ტრანში 100000 (ასიათასი) ლარი;

ბ.ა) **გაიზარდოს შემოსავლები:** კაპიტალური დანიშნულების გრანტები (პროგრამული კოდი 1.3.1.2.) - 100 000 ლარით;

ბ.ბ) **შესაბამისად გაიზარდოს გადასახდელები:** საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები,საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი - 02 04 - 61.1.2.11.) - 100 000 ლარით;

გ) საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“-ს ფარგლებში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის 2021 წლის 25 მაისს გაფორმდა #2 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში 2021 წლის 11 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს. „არბა“ - ს (ს/კ 405159698) შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. ოზურგეთში კულტურისა და დასვენების პარკის (საკადასტრო კოდი: 26.26.01.671) რეაბილიტაციის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 2 687 700 ( ორიმილიონ ექვსას ოთხმოცდაშვიდიათას შვიდასი) ლარს. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში, 2022 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით;

გ.ა) **გაიზარდოს შემოსავლები:** კაპიტალური დანიშნულების გრანტები (პროგრამული კოდი 1.3.1.2.) - 650 000 ლარით;

გ.ბ) **შესაბამისად გაიზარდოს გადასახდელები:** კეთილმოწყობის ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი - 02 05- 61.1.1.1.11) - 650 000 ლარით.

დ) აწლის ნომბრის თვეში გაეროს განვითარების პროგრამის (პროექტის ნომერი და დასახელება: 0099175/00108051 რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2 (FRLD 2)) ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დაბა გომისძეთის ურბანული განვითარების გეგმისა და შესაბამისი დოკუმენტების შემუშავებისთვის გამოეყო მესამე ტრანში 40000 (ორმოციათასი) ლარი.

დ.ა) **გაიზარდოს შემოსავლები:** კაპიტალური დანიშნულების გრანტები (პროგრამული კოდი 1.3.1.2.) - 40 000 ლარით;

დ.ბ) **შესაბამისად გაიზარდოს გადასახდელები:** საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, არაფინანსური აქტივების ზრდა (ორგანიზაციული კოდი - 02 04 - 61.1.2.11.) - 40 000 ლარით.

**მუხლი 2.** დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

